# სამშობლო

წ. I 1915 წ. კვირა 8 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ჯერ-თი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ...
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადებას დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 30 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 30


„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

# დღეს, 8 მარტს, შესრულდა ორმოცი დღე, რაც ქართველმა ერმა დაჰკარგა თავისი ეროვნული სიამაყე, მხცოვანი მგოსანი—აკაკი.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 8 მარტს, საქრებულო ტაძარში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საქართველოს დიდების

## აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

---

აკაკის დამკრძალავი ქუთაისის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ დღეს, რვა მარტს

## დიდებული მგოსნის აკაკის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ნაშუადღევის პირველ საათზე.

1—1

---

ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი იასონ დავითის ძე გელოვანი გულის ტკივილითა და ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს, რომ სამშაბათს, 10 მარტს, დილის 9 საათზე, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მისის უძვირფასესის მეუღლის

## ელისაბედის (ლიზას)

სულის მოსახსენებლათ. 1—1—10

---

ქვრივი ბარბალე დომენტის ასული ქღენტისა, მშობლები ნატალია და მიხეილ, დები მარიამი და სოფიე, ძმები პორფირი ივანე და გრიგოლი, შვილები შუშანა და ბიჭიკო ქღენტები აუწყებენ ნათესავთა, მახლობელთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 8 მარტს საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დილის 12 საათზე გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ჩვენთა ცხენოსან პოლკის უფროსი ექიმის

## სერგო მიხეილის ძის ქღენტის

სულის მოსახსენებლათ.

1—1—88

---

მიხეილ დიანოსის ძე, დიანოს მახარობელის ძე, ივანე ზაალის ძე სვანიშვილები; მღვდელი სიმონ, ივანე, სამსონ და გიორგი დავითის ძენი კილაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ საორმოცო წირვა-პანაშვიდი, პირველის უსაყვარლესის მეუღლის, მეორეთა დაუვიწყარის რძლის და უკანასკნელთა ძვირფასის დის

## ქამიტო დავითის ასულის სვანიშვილისა

დანიშნულია მარტის თვის 8 რიცხვს, დღით კვირას, ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე. წირვა დაიწყება 11 საათზე.

2—2

---

გამოუთქმელი მწუხარებით დამწვარნი მშობლები სტეფანე და მარიამი, მეუღლე ვერა, დები: ფილომინე, თამარა, ანა, ბარბარე, ძმა დავითი ფეიქრიშვილები და მამიდა ელისაბედ ქურთოშვილისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გადაცვალებას ქ. ფეოდოსიაში 6 მარტს

## პავლე სტეფანეს ძის ფეიქრიშვილისას.

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 14 ამ თვეს, დილის 10 საათზე, ქუთაისის რ. კათოლიკეთა ეკლესიაში.

3—1—93

---

ოსმალეთის საზღვარზე თავ-განწირულ ბრძოლაში 21 დეკემბერს გმირულად დაიღუპა მეომარი

## ვიქტორ დავითის ძე იობიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა მეგობართა და ნაცნობთ დიდათ დამწუხრებულნი ძმანი: ტარასი, პლატონი და დავითი იობიძენი, რძალნი: ფადა გეგელაშვილის ასული და მარგარიტა ხაზისის ასული იობიძისანი, ძმისწულნი: ნინა, ალექსანდრე, ივანე, ელენა, დავითი და ლევან იობიძენი.

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 8 მარტს, კვირას, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში.

წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

---

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი** 5 მარტი. ნევშაპელთან ბრძოლის მნახველი აღწერს და ასურათებს მას, როგორც საშინელი ჯოჯოხეთის მჩქეფარე წყაროს. დასავლეთ ფრონტზე ინგლისელების ბატარეიების ცეცხლმა გერმანელების კონტრ-იერიშები მოიგერია. ინგლისელებისა და ინდოელების ჯარებმა გახშირებული იერიშებით რამდენიმე თხრილი დაიჭირეს. როდესაც დაკარგული თხრილებიდან რამდენიმე დაიბრუნეს გერმანელებმა, ინგლისელებმა რამდენიმე კონტრ-იერიში მიიტანეს გერმანელებზე და იბრძოდენ, ვიდრე ხელახლათ არ წაართვეს. ამ ჟამათ ინგლისელებისაგან დაჭერილი პოზიცია გამაგრებულია. გამოქვეყნებულია თეთრი წიგნი, რომელშიაც აღწერილია გარეშე საქმეთა მინისტრისა და შეერთებული შტატების ელჩის ურთიერთ შორის მიწერ-მოწერა იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოვონ ზღვაზე ომი.

**პარიზი** 5 მარტი. დილის ოფიციალური ცნობა. ბელგიის ჯარი წინ იწევს. იზერის გზით დიკსმიუდედან ესენისკენ მიმართულ გზაზე ბელგიის არტილერია მტრის ტრანსპორტს ესროდა. ლისლასა და უაზის შუა მტრის საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა. მტერი უმთავრესათ ნოტრდამდელორეტის ქიმს ყუმბარებს უშენდა. ყუმბარებს უშენდა აგრეთვე სოფ. კარნუასა, მარისა და კურსა. შამპანში მდგომარეობა უცვლელია. ლოტარინგიაში ბრძოლა არტილერიის ცეცხლით სწარმოებს. ჩვენმა ერთმა მფრინავთაგანმა სადგურ კონფლანს ყუმბარები დაუშინა.

**ლონდონი**, 5 მარტი. ნიუიორკიდან მოსული ცნობებით, ვაშინგტონის სახელმწიფოს დეპარტამენტის მოხელეებს სწამთ, რომ ამერიკის მთავრობა, დღიდან იაპონიასა და ჩინეთს შორის ჩამოვარდნილ მოლაპარაკებისა რაც შეიძლება ცდილობს თვისი გავლენა იქონიოს იაპონიის მოთხოვნილებათა შესახებ, რათა შეერთებული შტატების უფლებების დარღვევას ხელი შეუშალოს, რომელიც საერთაშორისო კონვენციებით უზრუნველყოფილია. როგორც ხმებია, ინგლისისა და ვაშინგტონის კაბინეტებ შორის იაპონის მოთხოვნილებათა გავლენის შესახებ ხელშეკრულობის თანახმათ მოვალეობაზე არავითარი აზრთა გაცვლა—გამოცვლა არ მომხდარა.

**გროდნო**. 6 მარტი. სუვალკის ერთი მცხოვრებლის გადმოცემით, რომელიც რის ვაი-ვაგლახით ქალ. გროდნოში შესულიყო, ამ ქალაქში თურმე გერმანელები თავისუფლათ განაგრძობენ ალმაფრენას. ამ ქალაქში შესვლის უმალვე გერმანელებს ქალაქისთვის 10.000 მან კონტრიბუცია მოუთხოვნიათ. როდესაც ქალაქმა მათ განუცხადა, რომ იმ უმწეო მდგომარეობის გამო, რომელსაც დღეს ქალაქი განიცდის კონტრიბუციას ვერ გადიხდიან, გერმანელებმა სპილენძის კონფისკაციას მიჰყვეს ხელი და რკინის გზით, წართმეულ სპილენძს, აღმოსავლეთ პრუსიაში უკრეს თავი. შემდეგ სურსათ-სანოვაგისა, ცხენებისა, საქონლის და კარტოფილის რეკვიზიციას შეუდგენ. დამშეულ ადგილობრივ მცხოვრებლებს ყურადღებას არ აქცევენ.

**პარიზი**. 5 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. გერმანიის ცეპელინმა კალე-მეტილის სადგურზე ყუმბარები ჩამოყარა, მაგრამ დიდათ არ დაუზიანებია. 196 მეტ. სიმაღლიდან დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ, აღმოსავლეთისკენ და მენილის ჩრდილო აღმოსავლეთით მტრის კონტრიერიში მოგერებულ იქნა. აღმოსავლეთის გზით წინ მივიწევდით. 196 მეტ. სიმაღლეზე მოშორებით ბოსეჟურის ტყისკენ და ვერდენის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ხრამი და გერმანელების ორი თხრილი დავიჭირეთ და გარტცმანვეშორკაფთან ბევრი დავატყვევეთ. ჩვენ კიდევ რამდენიმეთ წინ წავიწიეთ. მტრის ზარალი დიდია. მისი თხრილები დახოცილთა გვამებით არის ამოვსებული.

**პეტროგრადი**. 6 მარტი. ოფიციალური მთავარსარდლის შტაბისაგან: ნემანის მარცხენა ნაპირზე ჩვენ ბეისეე ბრძოლით ავიღეთ. ჩვენი ცხენოსანი ჯარი გერმანელებს კვალ და კვალ მისდევდა, რომლებიც სეინისკენ იხევდნენ. პრასნიშისა და ოსტროლენკოს გზით, სოფლებთან და სიმაღლეებთან განუწყვეტელი ბრძოლა გრძელდება. კარპატებზე, 5 მარტს, ჩვენ პოზიციებზე, ცენჟნოვიცის ფრონტზე ჰონინა-რუსკაია და მუნკაჩის გზით მტერს უნაყოფოთ მოჰქონდა იერიშები. დანარჩენ ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი**. 6 მარტი. გემი „გლენარტნეი“, რომელიც ბანკოკიდან ლონდონს მისცურავდა ლამანშსთან წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. ეკიპაჟიდან მხოლოდ ერთი დაიხრჩო.

**რომი**. 6 მარტი. იმ ტერიტორიის შესახებ, რომელიც იტალიის შესაძლებელია, რომ ომის შემდეგ დაეთმოს, ავსტრიის მიერ გამოთქმულ აზრის გამო, „ტრიბუნა“ სწერს: ჩვენ იტალიის საზოგადოებრივი აზრის გამომთქმელი ვიქნებით, თუ განვაცხადებთ, რომ ავსტრო-გერმანიის პირობები ჩვენთვის გამოუსადეგარი და შეუწყნარებელი იქნება, რომ ავსტრიის მიერ თავის პოზიციის შენარჩუნება ამიერიდან ყველა ნაირ შერიგების ჰიპოტეზას გააქარწლებს. ჩვენ გვრწამს, რომ იტალიაში ყოვლად შეუძლებელია იყოს ვინმე ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მოკლებული იყოს საღ გონიერებას და ვერ გრძნობდეს იმ პასუხის მგებლობას, რომელსაც დღევანდელი მომენტი დააკისრებს, რომ შესაძლოთ ეცნო, პარლამენტში ან და სამშობლოს წინაშე წამდგარიყო იმ საბუთებით, რომელიც ომის შემდეგ უნდა გამოსყიდულიყო და, რომ ომის გათავებას ახლავე ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს. ავსტრიის მიერ გამოთქმული აზრის წინააღმდეგ „ტრიბუნა“ პროტესტს აცხადებს, რადგანაც იგი იტალიის მისწრაფებათა განხორციელებას ნეიტრალიტეტის სამაგიეროთ სთვლის და განაგრძობს, რომ ავსტრია, რომელმაც თავისი აგრესიული მოქმედებით ომი გამოიწვია სერბიის წინააღმდეგ და მით ევროპის წონასწორობა დაარღვია და ამით პოლიტიკურ რუკას საგრძნობლათ შესცვლის. იტალიის ერთად-ერთი საფუძვლიანი მისწრაფება ეროვნული საკითხების განხორციელებაში გამოიხატება. მის წინაშე ომში ჩარევისა და ნეიტრალიტეტის მომხრეთა შორის უთანხმოებანი იჩრდილება. ოფიციალური გაზეთი „ჯორნალე-დ-იტალია“ სწერს: იტალიას მოუხდება ან მშვიდობიანი გზით დაკმაყოფილდეს, თუ რომ მისი კომპენსაცია უზრუნველყოფილ იქნება ეკვივალენტის სახით, ან და ხელში იარაღის აღება მოუხდება. ეროვნულ საკითხის ასეთ გადაწყვეტილებაში ეჭვიც არ შეიძლება რომ ვინმემ შეიტანოსო.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**რომი**. 4 მარტი. მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგა. ბიულოვმა იტალიის მთავრობას აცნო, რომ ავსტრია, გერმანიის რჩევით, მზათაა იტალიის სასარგებლოთ დათმობაზე წავიდეს. შემდეგ ბიულოვს რამდენჯერმე შემთხვევა ქონდა სონინო და სალანდრასთან ესაუბრნა, რომელთაც გამოსთქვეს სურვილი ავსტრიის წინადადებას გასცნობოდენ დათმობის საკითხის შესახებ. იტალიის მთავრობაც უარზე არ იყო ავსტრიისთვის მოესმინა, მაგრამ ამავე დროს თავისი სურვილი ვერ ჩამოაყალიბა, რადგანაც არა სურს მას ვალდებულით გახადოს თავისი თავი და ევროპის დიდ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გამართონ, მას არა სურს აგრეთვე თავისი ქვეყნის წინაშე თავი დაიმციროს, რადგანაც უწინდელ მოკავშირეთა წინადადების გაცნობაზე უარის თქმა, ომის გამოცხადების სურვილის თანასწორი იქნებოდა, თუმცა შეეძლო შემთხვევით ესარგებლა და ომი თავიდან აეცდინა. ვატიკანი სამთა შეთანხმების წინადადებით იტალიის მთავრობის გეგმაში არ შედის იმის გამო, რომ ოსმალეთის განაწილების შესახებ აღმოსავლეთ შუა ზღვის პოლიტიკის საკითხებს უფრო დიდმნიშვნელოვანათ სთვლის, ვიდრე ავსტრიის მხრივ თავისუფალ დათმობას, ამჟამათ გერმანიის დიპლომატიამ

# დღეს რა მოხდა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

გერმანელების ცეპელინმა კალე-მეტი-ლის სადგურს ყუმბარები დაუშინა.

გემი „გლენარტნეი“ ბანკოკიდან ლონდონს მიმავალი ლამაშესთან წყალქვეშა ნავმა ჩაძირა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

ნემანის მარცხენა ნაპირზე ბეისეე რუ-რუსებმა ბრძოლით აიღეს.

5 მარტს, პერემიშლესთან რუსებმა შესავალი კარი დაიჭირეს და 56 ტყვეთ წამოიყვანეს.

ქალაქ გროდნოს გერმანელებმა კონტრიბუცია მოთხოვეს.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

ჭოროხის რაიონში მდგომარეობა უცვლელია.

---

თავის მოქმედება რომიდან ვენაში გადაიტანა, იგი ცდილობს დაითანხმოს იტალია, რომ ამნაირათ იტალიის მთავრობას დრო არ მისცეს სამთა შეთანხმებასთან მოლაპარაკებისა, რომ სახელი არ გაუტეხოს დიდსახელმწიფოთა წინაშე, ამავე დროს იტალიის ნეიტრალიტეტის შესახებ პროპაგანდა გასწიოს. იგი ხელმძღვანელობს იმით, რომ ტრ-ენტის ოლქის ნაწილი იტალიას დაუთმოს და ამნაირათ ნეიტრალიტეტი არ დაირღვეს.

**ბუქარესტი.** 5 მარტი. „ვიკტორულის“ ცნობით სოფიაში სეფე საბჭო შესდგა, მეფე ფერდინანდის თავჯდომარეობით. საბჭო იმ დასკვნას დაადგა, რომ ბულგარეთმა უარი უნდა სთქვას თავის ნეიტრალობაზე და გამოსასვლელათ მოემზადოსო. ასეთ დასკვნასთან ერთად ოპოზიციის ლიდერებს შორი! ჩამოვარდა მოლაპარაკება კოალიციონური კაბინეტის დაარსების მიზნით. რადოსლავოვის პოლიტიკა დაბრკოლებას განი-დის ოპოზიციის ლიდერს სურთ დემოკრატების პარტიის კაბინეთი დაარსონ. რადოსლავოვის კაბინეტის დაცემა რამდენიმე დღის საკითხია. გამოქვეყნებულია მეფის დეკრეტი, რომელიც ჰვავისა, ქერისა და მუხუდოს გატანას უკრძალავს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

## გრაფი ვიტტე და გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II ე.

გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი დიდათ აფასებდა გრაფ ვიტეს და ამბობდა „ვიტტე რუსეთის ბისმარკი არისო“. და მართალიც, რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულების ისტორიაში, მან დიდი როლი ითამაშა.

გრაფის კაბინეტში, სხვა მრავალ ფოტოგრაფიულ სურათთა შორის, არის აგრეთვე ვილჰელმის სურათ-ც შემდეგი წარწერით:

„პორტსმუტი. ბერკე. რომინტენი. 26 სექტემბერი, 1905 სელი, ვილჰელმი“. რომინტენი ის ადგილია, რომელიც ჩვენმა ჯარმა ამ ომში რამოდენიმეჯერ დაიკავა.

რუსეთ-გერმანიის შორის პირობების შეკვრის დროს იმპერატორმა ალექსანდრე 3-ემ ჰკითხა გრ. ვიტტეს, ეხლა რა შემიძლია ვილჰელმისათვის გავაკეთოო. ვიტტემ უპასუხა. თქვენო უდიდებულესობავ, აუსრულეთ ვილჰელმს დიდი ხნის ნატვრა, გახადეთ რუსეთის ფლოტის ადმირალიო, ნატვრა ვილჰელმისა აღსრულებულ იქმნა.

---

### იაპონია და ჩინეთი.

„ნიუ-იორკ-გერალდი“ იტყობინება, რომ პეკინში იაპონიისა და ჩინეთის დელეგატთა სხდომაზე გადაწყვეტილ, იქნა გაგრძელდეს იჯარა სამხრეთ მანჯურიის რკინის-გზის კიდევ 99 წელს ვადა წინანდელ იჯარისა 1923 წელს თავდება.

---

„დეილი-ტელეგრაფის“ კორესპონდენტი იტყობინება პეკინიდან:

ჩინეთში დიდი მღელვარებაა ჩინეთ-იაპონიის შორის მოლაპარაკების გამოო.

ყველაზე უფრო სადავო საკითხათ წამოყენებულია იაპონიელთა განცხადება იმის შესახებ, რომ მათ მიენიჭოს სრული უფლება მანჯურიაში მიწა-წყლის შეძენისა. ჩინეთი აცხადებს, რომ იგი დაღუპავს თავისთავს, თუ უცხოელებით დაასახლა მანჯურია, რადგანაც მას არ ექნება არავითარი უფლება თვალყური ადევნოს მათო, უცხოელები კი ამით ისარგებლებენ და ყოველგვარ საშვალებას მიმართვენ ჩინეთის დასაღუპავათო. გარდა ამისა, თუ იაპონიამ თავის მოთხოვნილება უკან არ წაიღო, ადვილი შესაძლებელია, იაპონიასა და ჩინეთს შორის ყოველგვარი დამოკიდებულება შეწყდესო.

---

### საბერძნეთი.

მაკედონიის გენერალ გუბერნატორი საკულისი დღეს ათინაში გაემგზავრა.

ფიქრობენ, რომ იგი ვენიზელოსის პარტიის სხდომაზე დასასწრებლათ წავიდაო.

### იტალია.

ვენეციის ნავსადგურში მოვიდა ორი ვაგონი დატვირთული 92 ბოჭკა ლოდით რომელიც ბერლინიდან იგზავნებოდა იტალიის ტრიპოლში.

რადგანაც ამ ვაგონებში დაწყობილმა ბოჭკებმა ნავთსადგურის მოსამსახურენი ეჭვში შეიყვანეს, ბოჭკები დახსნეს. პირველათ გახსნილ ბოჭკაში აღმოჩნდა ფრანგული სისტემის თოფები 1892 წლის თარიღით და აგრეთვე მრავალი ტყვია-წამალი, ფიქრობენ, რომ ამ ორ ვაგონში 500-მდი თოფია. გერმანელებს არამარტო ის ჰქონიათ აზრათ, რომ ტრიპოლში იარაღი გაგზავნოს, არამედ საფრანგეთსა და იტალიას შორის უთანხმოება ჩამოაგდონ ფრანგული სისტემის იარაღის გაგზავნით.

---

„რუსკი ვედ.“ იტყობინებიან, დარდანელში ტრალერები შევიდნენ, მათ კრეისერი „ასკოლდი“ მიყვებოდა. როდესაც ნაღმების ამოღება დაიწყო, ამ დროს მათ ფორტებიდან ზარბაზნები დაუშინეს, ბრძოლა არ ყოფილა, მაგრამ ერთი ნაღმოსანი მაინც ცოტათი დაზიანდაო.

---

ლონდონში დარწმუნებული არიან, რომ დარდანელის გარღვევა აპრილის დამლევამდი დასრულდება.

---

სტამბოლში დიდი მზადებაა. სიმაგრეებზე დიდი ყალიბის ზარბაზნებს სდგამენ. ნეიტრალურ სახელმწიფოების ელჩები ურჩევენ ბრწყინვალე პორტას სტამბოლის დაცვას თავი დაანებონ და ქალაქის დანგრევა თავიდან აიცილონ.

---

„ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი ამბობს: დარდანელის აღებისათვის საჭიროა, რომ ხმელეთის ჯარმა და ფლოტმა ერთდროულათ იმოქმედონო. დარდანელის აღება შეუძლებელია, მანამდის, სანამ სტამბოლის დამცველი ჯარი არ გაწყდებაო.

---

ბუქარესტიდან იტყობინებიან, ბულგარეთში ჯარი ემზადება ოსმალეთის ფრაკიისა და ადრიანოპოლის დასაკავებლათო.

---

„რუს. სლ.“ ატყობინებენ, ენვერ-ფაშამ ბრძანა სანდერსის დატყვევება. გოლც-ფაშა ცდილობს იმათ შერიგებასო.

---

ათინიდან იტყობინებიან, რომ პორტა, იმ შემთხვევაში თუ დარდანელზე ზარბაზნების დაშენა გაგრძელდა, წმინდა სოფიის ტაძარს მსოფლიო პატრიარქს გადასცემს, რომელმაც მასზე პატრიარქის დროშა, ორთავიანი არწივით შემკული, უნდა აფრიალოსო.

---

# აკაკის ხსოვნას.

(გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს).

დღეს შესრულდა ორმოცი დღე, რაც სამშობლო ქვეყანა გლოვობს და დასტირის თავის ერთგულსა და დიდებულ შვილს! შეწყდა საყვარელი მგოსნის ჩანგის მქუხარე ხმა! დღეს ის განისვენებს საქართველოს დედა ქალაქში, მის საყვარელ მთაწმინდაში, სადაც ცის ნამი ცრემლად ეფრქვევა, ნიავი დილა-საღამოს ნანას დამღერის და ბულბული მწარედ დაკვნესის იმის ყვავილებით მორთულ საფლავს.

ორმოცდა თექვსმეტი წლის განმავლობაში ის მოუწყენლად უმღერდა თავის სამშობლოს, შენატროდა თავისი ერის გათვითცნობიერება—გამოფხიზლებას, რასაც იგი უწოდებდა ყოველთვის თავის სიმღერებში **„გაზაფხულის მოსვლას“**, აქვე მომყავს ამ ათი წლის წინად ნეტარხსენებული აკაკის მიერ დაწერილი **„გაზაფხულო სიმღერა:“**

„ყველას გვესმის ჟღივილის ხმა,  
შეფთქრიალდნენ ჩიტუნები  
და გაისმის ყოვლისა მხრით  
გაზაფხულის ტკბილი ხმები.  
გავიღვიძეთ!.. აღარ გვძინავს,  
გავახილეთ ყველამ თვალი  
და ჰიკჰიკით გვეგებება  
მახარობლად ჩვენ მერცხალი.  
მაღლა მთიდან ხმა გაისმის,  
გულს ხვდება და ატკბობს ყურსა!  
შაშვი არის... შავი შაშვი,  
რომ გაჰკივის სალამურსა!...  
დაბლა ბარში ათას ჰანგზე  
აგზნებული ბულბული სტვენს  
ღირს ულირსის გაურჩევლად  
ყველას ატკბობს, სიამეს ჰფენს.  
— ეს ხომ ყველა ნიშანია,  
რომ მოსულა გაზაფხული?  
პირუტყვებიც კი ფხიზლობენ  
ზამთრისაგან დაჩაგრული.  
მაშ გაზაფხულს ჩვენც ველოდეთ,  
წმინდათ მივსცეთ ხელი ხელსა  
და გავკაფოთ ახალი გზა,  
აუქციოთ მხარი ძველსა!  
გვახსოვდეს, რომ პატიოსანს  
ოფლს მოითხოვს სამართალი  
და ტანს გასწმენდს ჭუჭყიანსა  
მხოლოდ მარტო წმინდა წყალი!  
არც სისხლით და არც ცრემლებით  
არ იქნება ტანის ბანა!  
შრომაშია მხოლოდ შვება  
და ცხოვრების გამოცანა“.

დიახ, ასეთი მადიანი სიტყვებით ამხნევებდა ის ყოველთვის და ნუგეშს სცემდა თავის ერს და როდესაც დაინახა გამოფხიზლებული ხალხი და დადგა მისთვის სანატრელი დრო, უწოდა „გაზაფხული“, მოეფინა იმის გულს ნათელი, ნუგეში, და სვიმონ მოხუცებულივით სთქვა: „აწ განუტევე მონა შენი მეუფეო!“. განისვენა მან, ჩვენ კი გვიანდერძა „ძმობ[illegible]“, ამისთვის გვმართებს ყველას, ვინც პატივს ვცემდით საყვარელ მგოსანს, მჭიდრო კავშირი და ძმური სიყვარული დავაარსოთ ერთმანეთ შორის და საზოგადო საქმეს ისე ვემსახუროთ.

**ლადო ბზვანელი.**

---

# უკვდავნი.

(ვუძღვნი აკაკის წმინდა ხსოვნას).

— „თქვენ ნიშნათ უკვდავებისა  
ერს მოვლენილხართ განგებით“.

— წარსულმა საუკუნემ სასწაულებრივ წარმოშვა საქართველოში ოთხი საარაკო ადამიანი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

პირველი თავის მსოფლიო სევდით და უსაზღვრო პოეზიით იყო წინამორბედი გაზაფხულისა, ის პირველი მოჭიკჭიკე მერცხალი, რომელიც ვერ ურიგდება ბნელს მსუნთავ აწმყოს, მოსთქვამს ერის შავს ბედს, უგალობს სითფოს, სინათლეს და თავისუფლებას. მგოსნის ჰანგები ვერ ჩაწვდენ გულში “ტკბილი ზღაპრებით“ მოხიბლულ მოძმეთ ჭდა ობლათ შთენილმა განუტევა სული უცხოთა შორის ტიალ მინდორში... მხოლოდ 50 წლის შემდეგ გაღვიძებულმა ერმა იცნო მგოსანი და მისი ნეშთი განჯიდან გადმოასვენა თფილისს დიდი ზარით და ზეიმით.

ბარათაშვილი იყო ქართული პოეზიის ახალი ცისკარი, იმავე დრო პირველი წამებული და ფერფლათ ქცეული თავის გრძნობათა მგზებარე ცეცხლით სამშობლოს ზენაარ სიყვარულის სამსხვერპლოს წინაშე.

მეორე წამებული სამშობლოსათვის არის დიმიტრი ყიფიანი. იგია ქართველი ერის მაღალი ზნეობის, შრომის სიფხიზლის და მეტადრე რაინდული გამბედაობის ცოცხალი სიმბოლო. ამ საოცარ ადამიანში ერთგვარი ძლიერებით იყო ჩაქსოვილი კეთილგონიერება, ფხიზელი პრაქტიკული ჭკუა, მტერ-მოყვრის ცნობა, ზნეობრივი სიფაქიზე, ქართული რაინდობა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ამ სათნოებათა სპეტაკ ყვავილებით იყო მოქარგული მისი მაღალი, მშვენიერი სული. ტლანქმა ძალმომრეობამ ეს მამაცი ქართველი გატყორცნა შორს, უცხო მხარეს და ვერაგის მარჯვენამ მოუსპო სიცოცხლე მძინარე მოხუცს...

მესამე ნათელი სახე არის დიდი მგოსანი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. იგია მესამოცე წლების აფრთოვანე-

---

# იმერეთის მეფე სოლომონ II.

**1815—1915.**

(იხილე დღევანდელი დამატება).

სოლომონ I გარდაიცვალა 23 აპრილს 1784 წ. და იმერეთის ტახტზე ავიდა დავით გიორგის ძე, მეფის ბიძაშვილი, რომელსაც მხარს უჭერდენ პაპუნა წერეთელი და ახალციხის ფაშა. ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II კი სურდა იმერეთში გაემეფებია დავითი, სოლომონის ძმისწული, ძე არჩილისა, თვისი შვილიშვილი. ერეკლეს ამითი სწადდა იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოთა შორის კავშირი და ერთობა განემტკიცებია.

ამ აზრის გასახორციელებლათ ერეკლემ იმერეთს გამოგზავნა 4000 ჯარის კაცი; დავით გიორგის ძე ახალციხეს გაიქცა თავის მფარველ ფაშასთან და იქვე სახადით გარდაიცვალა (1795 წ.). ქუთაისში გამეფდა დავით არჩილის ძე, სოლომონ II წოდებული. ეს მოხდა 1790 წელს.

სოლომონ მეორე ფრიად გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი კაცი იყო. ის კარგათ ხედავდა, რომ ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის მოსპობა იმერეთსაც კარგს არას უქადდა—და ამიტომ შესაფერ თავდარიგს იჭერდა. გრიგოლ დადიანთან განუწყვეტელი ომი ქონდა, საუკეთესო ციხეები წაართვა და ოდიშის მთავარს საქმე ისე გაუჭირვა, რომ იგი ფოთისა და აჭარის მიდამოებში იმალებოდა.

გენერ. ლაზარევი სოლომონის ასეთმა გაძლიერებამ და ჯარის გამრავლებამ ძლიერ დააფიქრა და ერთხელ წერილითაც კი შეეკითხა, რა მიზნით ამრავლებ ჯარსო.

—როდესაც ტახტზე ავედი, ჯარის შეკრებისა და დათხოვის უფლებაც მაშინ მომენიჭაო,—მიუგო მეფემ.

კნორინგს პეტერბურგიდან საიდუმლოთ სწერდენ, ეცადე და შავი ზღვისაკენ გზა გაიკაფეო; მაგრამ კნორინგზე უფრო გაბედული ნაბიჯი ამ მხრით ახალმა მთავარსარდალმა, პავლე ციციშვილმა გადადგა.

ოდიშის მთავარს რომ საქმე გაუჭირდა, მან გადასწყვიტა—რუსეთის მფარველობაში შესულიყო და ამ გზით შეერჩინა ლეჩხუმი, რომლის გამოც ერთი დავიდარაბა ქონდა ატეხილი სოლომონთან. დადიანმა ციციშვილთან მოლაპარაკება გამართა. მეფემ მოინდომა—დადიანი მშრალზე დაესვა და თავის პირველი მრჩეველი სოლომონ ლეონიძე პეტერბურგს გაგზავნა და მფარველობა ითხოვა. ციციშვილმა ისე მოახერხა, რომ სოლომონი იმპერატორმა არ მიიღო, აქ კი იმერეთის სარდალს—ქაიხოსრო წერეთელს აცნობა, მეფე დამმორჩილდეს; თორემ ძალით შევმუსრავო.

მეფემ ერთხანს არ დაუთმო. მაშინ ციციშვილმა ჯარი დასძრა და იმერეთისკენ გაეშურა,

ამ გარემოებამ სოლომონი საგონებელში ჩააგდო და 25 აპრ. 1804 წ. მეფემ ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა. ციციშვილმა მას მიართვა ალექსანდრე ნეველის ორდენი, ალმასებით შემკული. აქვე მიღებულ იქმნა სოლომონის სათხოვარი, რომლითაც მეფეს და მის მემკვიდრეებს მეფობა არ უნდა წართმეოდათ, მეფის ხელში უნდა ყოფილიყო სამართალი და სხვა საშინაო საქმეები.

9 ივლისს 1805 წ. ოდიშის მთავარმა, ლევანმა, რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო. მთავარი რომ რუსეთს დაუმეგობრდა, სოლომონს ლეჩხუმის დაკავების იმედი გაუცრუვდა; ამასთანავე კარგათ ატყობდა, რომ ციციშვილს მისი ტახტიდან გადაგდება უნდოდა. ქართლ-კახეთი და ოდიში უკვე რუსეთის სამფლობელოს შეადგენდა, იმერეთი ორ ცეცხლ-შუა იყო და ასეთ მდგომარეობაში მყოფი მეფე მთელი ექვსი წლის განმავლობაში ებრძოდა და აფერხებდა რუსის ჯარს.

სოლომონი ისე ოსტატურათ იქცეოდა, რომ მაინც არც რუსეთს უცხადებდა აშკარა მტრობას და არც ოსმალეთთან სწყვეტდა კავშირს. მისი ასეთი მოქმედება ყველასათვის ცხადი შეიქნა.

1806 წ. ბაქოში მოკლეს თ. ციციშვილი. სოლომონმა ისარგებლა ამ გარემოებით და შავი ზღვისკენ მიმავალი გზა გააფუჭა; ამასთანავე აპირობდა ძალით აეღო ქუთაისი, სადაც ამ დროს რუსის ჯარი იდგა.

სოლომონს აქეზებდა და მხნეობას მატებდა ალექსანდრე ბატონიშვილიც ახალციხის ფაშის დახმარებით; სპარსეთიც განჯის უკანვე აღებათ ემზადებოდა და თოფ-იარაღს იხმამდა; მთიულეთი ღელავდა და ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყო; იმერეთშიაც აჯანყების სული ტრიალებ-

აი სწორეთ ამ დროს მეფემ თავიდან მოიშორა სახლთ-ხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელიც დიდი ერთგული იყო რუსებისა და მათ წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღოდა. წერეთელი ფრიად პატივმოყვარე და შორსმჭვრეტელი დიპლომატი იყო. პეტერბურგში ყოფნის დროს მან რუსეთის მისწრაფება გაიცნო და მისი შემწეობით იმერეთის ტახტზე ასვლაზედაც ოცნებობდა.

სოლომონ ლეონიძე კი,

სოლომონს უფრო

და უფრო აურჩევდა

ციციშვილის მოადგილემ, გუდოვიჩმა, პირდაპირ გადასწყვიტა მეფის ტახტიდან გადაგდება და ეს აზრი ზურაბ წერეთელმაც ძლიერ მოიწონა.

გუდოვიჩმა იმერეთში რუსის ჯარი გააძლიერა (1808 წ.) და მეფეს ამანათი მოსთხოვა. სოლომონი ახალციხისკენ განივლტო და იქიდან შემოთვალა, ქუთაისი დამიცალეთო. გუდოვიჩმა დაინახა, რომ სოლომონის გატეხვა არც ისე ადვილი საქმე იყო—და გადასწყვიტა იმერეთში დროებითი მთავრობა გამოეცხადებია. ამასთანავე ზურაბ წერეთელს, როგორც საჭირო კაცს, ებოძა პოლკოვნიკის ჩინი და 1200 მან. პენსია. პირმოთნე წერეთელმა იმპერატორის რესკრიპტს სამჯერ აკოცა, მაგრამ რაკი ტახტზე ასვლის იმედი დაეკარგა, მალე ისევ სოლომონისკენ „იბრუნა“ გული.

ამასობაში გუდოვიჩის ადგილი ტორმასოვმა დაიჭირა. ამან მაშინვე გამოსცა მოწოდება იმერეთის მცხოვრებლებისადმი და ურჩევდა მათ—იმპერატორის ქვეშევრდომობა მიეღოთ. აშფოთებულმა სოლომონმა შეკრიბა 6.000 მეომარი, ისარგებლა იმ გარემოებით, რომ რუსის ჯარი ფოთის ციხის აღებათ იყო წასული, გასწია ახალციხისკენ, სადაც ინახულა ალექსანდრე ბატონიშვილი, და ახალციხის ფაშას დახმარება სთხოვა. ამავე დროს სეხნია წულუკიძე და სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ხალხს აღელვებდენ.

ამასობაში ტორმასოვმა იმერეთის ჯარის უფროსად დანიშნა გენ. სიმონოვიჩი. ზურაბ წერეთლის ორპირობამ აქაც იჩინა თავი: სიმონოვიჩს ურჩევდა, რომ სოლომონის დევნას თავი დაანებეო; ტორმასოვს კი აჩქარებდა, რას უყურებთ, ბარემ შეიპყარით და ქვეყანაც დამშვიდდებაო. მთავრობა გამოურკვევლათ მოქმედობდა.

სოლომონმა ამ მდგომარეობით ისარგებლა და დროს მოსაგებათ ტორმასოვს მისწერა: ციციშვილთან შეკრული პირობა რუსებმა, დაარღვიეს, ლეჩხუმი დადიანს მისცეს, იმერეთში ჩემს დაუკითხავათ დიდი ჯარი ჩააყენეს, სასახლე დამიქციეს და ქვეყანა ამიწიოკესო.

ტორმასოვმა სოლომონს მოსთხოვა, ქუთაისს დაბრუნდი და ამასთანავე წარმომიდგინე სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი, სოლომონ ლეონიძე, ანდრონიკაშვილი და როსტომ ნიჟარაძე და მაშინ აგისრულებ თხოვნასო. მთავრობას დიდი ჯავრი სჭირდა ხსენებული თავადების, განსაკუთრებით ლეონიძის, რომლის „გესლით სავსე ენა“ ძილს უფრთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა მთავრობის აგენტებს.

— რაო? რაო? რას მეუბნებიან?! რას მირჩევენ? გადავიდე საცხოვრებლათ იქ, სადაც რუსის ჯარი სდგას?!. ეს ყოვლად შეუძლებელია!.. სთქვა მეფემ. ამ დროს ის ვარციხეში იმყოფებოდა.

ამასობაში სიმონოვიჩმა ქვემო იმერლები უკვე ხელმწიფის ერთგულებაზე დააფიცა. მეფე იძულებული გახდა ტორმასოვთან წასულიყო მოსალაპარაკებლათ. სიმონოვიჩმა მას ჯვარსა და სახარებაზე შეფიცა, რომ არას გკადრებენ და სამეფო პატივს არ მოგაკლებენო. სოლომონი ამ ფიცით თფილისს მიიტყუეს და სუმბათაშვილის სახლში დაამწყვდიეს, (28 მარტს 1810 წ.) დარაჯები მიუჩინეს და ძლიერ ფრთხილად ებყრობოდნენ.

ამას შემდეგ ტორმასოვი იმერეთის „გაწმენდას“ შეუდგა. მაგრამ იმავე წლის 13 მაისს ტყვე მეფე მთავრობას თვალსა და ხელს შუა მიეფარა. როსტომ წერეთელმა და გრიგოლ ერისთავმა დანიშნულ ღამეს ეზოს გალავანთან ცხენები მოუყვანეს, მეფემ ტანისამოსი გადიცვა,

ბის, იმედების და მისწრაფების უალრესი გამომხატველი, იგია ქართველი ერის აზროვნების და კულტურული მოქმედების ბელადი და მესვეური. მყარი, ვით კლდე და უდრეკი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი; იგი დარაჯათ უდგა სამშობლოს 50 წელს ფარ-შუბით და რკინის პალოთი, ვით ზღაპრული კახაბერი, ძლიერი სიტყვით და მკვეთრი კალმით იცავდა მედგრათ უმწეო ერს მტერთა თარეშისაგან. მაგრამ მოძრაობის ბორიოშ ამოისროლა ეროვნულ ზღვის უფსკრულიდან ვილაცანი შეუგნებელნი რომელთაც გაჰგმირეს გული, რომელზედაც ცეცხლის ასოებით ეწერა: სამშობლო... საქართველო...

— აჰა, სრულდება 40 დღე, რაც გაგვშორდა საუკუნოთ მეოთხე სხივმფენი, დიდებული პირი! აღარ გვყავს ქართველთა შორის სიცოცხლის, ნუგეშის და პოეზიის ნექტარის მფრქვეველი ძვირფასი, საყვარელი აკაკი! ულმო სიკვდილის შავი ფრთების ქროლვამ მოგვტაცა ქართველი ოქროპირი. დადუმდა ბულბული, რომელიც მუსიკობდა სანეტარო ხმებით, მოსთქვამდა თავის სატრფო-სამშობლოს

უყიოდა გმირებს, იწვევდა ტარიელს ნესტანის გამოსახსნელათ, დასტიროდა ამირანს კავკასიონის კლდეზე მაგრათ მიჯაჭულს, მაგრამ იმავე დროს დამღერდა იმედიანათ:

— „მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი“...

აღარ გვყავს ერის დიდება, ერის მშვენება, აღარ გვყავს აკაკი წერეთელი!..

ვინ არიან ეს ოთხი უკვდავნი?

ნიკოლოზია ქართველი ერის გრძნობა, კვნესა და კაეშანი; დიმიტრი—ერის სიფხიზლე და გულადობა; ილია—ერის აზროვნება და სულის სიმძლავრე; აკაკი—ერის მუსიკა, გრძნობათა სიტყვა და შუქმფენი იმედი მომავალისა, თვით პოეზია თეთრი მანტიით, ციური ჩანგით ქვეყნათ ვლენილი...

— „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“... გალობს მგოსანი.

აწიერიდან ამ დიდებულ ჰანგებს იმეორებს ქართველი ერი და მზათ არის ვით ერთი კაცი, შეებრძოლოს გმირულათ და აჰ კილოს ყოველივე საფრთხე თავის მამულს, ენას და კულტურას...

**სიმონ ქვარიანი.**

# მოგონება.

(აკაკის ორმოცის გამო).

26 იანვარს, დილით, როდესაც სასწავლებელში მივედი, პატარა მოწაფე ქალი, კ. სასწავლებლის ერთს კუთხეში, საცოდავათ წიწილივით აბუზული იდგა და ეტყობოდა ძლიერ დადარდიანებული ყო. მისი ამხანაგები კი ყმაწვილური სიცილ-კისკისით დახტოდენ ეზოში და სიცოცხლეს მოწყურებული, სრცელქით ერთმანეთს თავზე ევლებოდენ.

— გამარჯობა საყვარელო, — მივაძახე პატარა დასევდიანებულს მოწაფეს, — რას დაძმარებულხარ, რა მოგსვლია, მითხარი ცუგრუმელა, აქნამდი შენი ჟრიამული, სიმღერა-კისკისით აქაურობა გაყრუებული იყო და ახლა კი სიცოცხლე აღარ გეტყობა, რა იყო, რა მოხდა, არ მეტყვი?

— მამამ გვითხრა, დიდი აკაკი მოკვდაო, — გულ ამოსკვნით მომიგო ბავშვმა და თვალებზე ცრემლები გადმოცვივდა, გადაიკრიალა წითელ თურაშოულ ღაწვებზე და დაეცა ძირს. მაშინ ვიფიქრე გულში: რა ძვირფასია ეს ცრემლები და ცოდვაც არის, რომ ის მიწაზე დაეცეს მეთქი.

— მერე შენ აკაკის საიდან იცნობდი?

— საქმეც ისაა, ბატონო, რომ ვიცნობდი და გულს ის მიკლავს.

— საიდან, როდის?

— ამ ორის წლის წინათ გავიგეთ, რომ ბატონი აკაკი ქუთაისს მიემგზავრებაო, ბავშვებს ვუთხარი, — დიდი აკაკი ხომ გაგიგონიათ, მის ლექსებს ჩვენში ხშირად ვიმეორებთ მეთქი, მაგალითად „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა, მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა“. „ოოპუნა ავხე, აფხე, ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე“. „დღეს მერცხალი“ და სხ. რამდენი. აი ამის მთქმელი მოდის დღეს, მოდი, ვნახოთ, გზაში შევეგებოთ, ბავშვები თურმე ძლიერ უყვარს. წავიყვანე ათამდე ქალ-ვაჟი, ჩემი ტოლები და დავუხვდით სადგურზე. ვიდრე მატარებელი მოვიდოდა, გული გვიტოკავდა ბავშვებს, დღეს გავბედნიერდებით და დიდებულ მოხუცს ჩვენის თვალით ვიხილავთ-მეთქი.

სადაც იყო გაჩნდა მატარებელი. წინათვე შევეხვეწეთ დიდებს გვჩვენებიათ ის ვაგონი, სადაც მგოსანი იჯდა. გვაჩვენეს. ავედით კიბეზე და ცეცხლივით ანთებულები, თან სიხარულით, თან სირცხვილით გარს შემოვეხვივნეთ ჭაღარა მოხუცს. მგოსანმა მოგვკრა თვალი თუ არა, — გაიცინა, გარშემო შემოგვისხა, მე მუხლთან დამაყენა და სახელი და გვარი გამომკითხა, მეც დიდის სიხარულით ვუამბე ჩემი ვინაობა, მერმე სხვებსაც გამოკითხა. ამას შემდეგ მე ხელში დიდი წითელი ვაშლი მეკავა, ის ვაშლი მოეწონა აკაკის. მეც გავბედე და შევსთავაზე.

„მიირთვი, ბატონო-მეთქი“. ვუთხარი.

იმანაც დიდი სიხარულით გამომართვა და მითხრა სანახსოვრო სიტყვები: „მე ამ ვაშლს შევინახავ და ვეცდები არ დაჭკნეს. შენც ეცადე არ გადაგვარდე, არ გადარჯულდე, (აქანა ისეთი სიტყვები მითხრა, რომ იმას არ მათქმევინებენ). ეს ვაშლი, რომ გაფუჭდება, მაშინ გავიგებ, რომ შენც გადასხვაფერებულხარ, წამხდარხარ“.

— ვიღაცამ უთხრა ბაბუა აკაკის, მერმე მაგას დედ-მამა ქართველი არ ჰყავს, როგორ გადაგვარდებაო?

— რა უყოთ რომ ქართველია. არ გაგიგონია, რომ მამა კარგი იყოს და შვილი უხეირო, მიუგო მოხუცმა.

აი, ეს სურათი, ეს შეხვედრა მახსოვს და ეს არის, რომ გულს მიკლავს მისი სიკვდილი.

მე ფიცი მივეცი ჩემს მშობლებს და ამხანაგებს, ნიშნად მისი გლოვისა ერთს წელიწადს არ ვიმღერო, არ ვიცეკვოო დაამთავრა, თვალ-ცრემლიანმა ბავშმა.

— კიდევ რას იტყვი მის შესახებ მეთქი, — მეც, ბავშის სიტყვებით გულმოკლულმა, მივმართე მას.

— გვითხრეს, ანდერძში, სხვათა შორის, უთქვამს; საჩხერეში, ჩემს ეკლესიის გალავანში დამასაფლავეთ, რომ ჩემს გულზე სიცოცხლის მახარებელმა ბავშვებმა ირბინონ და თვისის ხელით „ვარდი დამაყარონო“. ამ სიტყვებზე ბავშმა ხმა მაღლა ზლუქუნი იწყო და მეც ვეღარ შევიკავე ცრემლები, მასთან ერთად მეც ვსტიროდი.

ასეთს ამბავს წავაწყდი დიდებულ ქართველის გარდაცვალებისათანავე და მეც მოწიწებით ვახსენებ მას, როგორც დიდ ბუნებოვანს, შეუდარებელს, ყველასათვის თანაბარს, დიდისა და პატარასათვის.

კურთხეულ იყოს სახელი მისი, აშიერიდან უკუნისამდე.

**ა. გძელი**

# მოგონებანი.

(მგოსან აკაკის ტკბილ-მწარე სიტყვები)

I.

1908 წ. თფილისში, როდესაც იუბილიარს დღეობა გაუმართეს და აკაკი სახლში ბრუნდებოდა, გზაზე მეეტლე რუსი შეხვდა; აკაკი ჩაჯდა შიგ. ცოტა გაიარეს თუ არა მეეტლე შეეკითხა მგოსანს. — უკაცრავად ბატონო, ეს რა დღეობაა დღეს, რომ ხალის არეულობა არის ქუჩებში- ნეტავ ვინ არის ის კაცი, რომ საზოგადოება ასეთი პატივის ცემით ხვდება?

აკაკიმ ჩვეულებრივად გაიღიმა, და მეეტლეს უპასუხა — ის კაცი, რომელსაც შენ კითხულობ მე თვითონ ვარო!

განცვიფრებულმა მეეტლემ აკაკის ახედდახედა, უკმაყოფილოდ თავი გვერდზე გადიქნია და მგოსანს ირონიული კილოთი ხელ გაქნევით ჩაუჩურჩულა.

— შენ კი არა და ის არ გინდაო. და ცხენები გარეკა.

პოეტი კი თავის გულში იღიმებოდა, რომ მეეტლემ ის ვერ იცნო.

II.

აკაკი საჩხერიდან, თფილისს მიემგზავრებოდა, ზარი მესამედ ჩამოკრეს საჩხერის სადგურზე და მატარებელიც დაიძრა, მაგრამ უეცრივ მატარებელი ისევ მობრუნდა და ბაქანზე დადგა. მგზავრები განცვიფრდენ და ის იყო, მატარებლიდან გარეთ გამოსვლას აპირებდენ ამბის გასაგებათ. აკაკიც მოულოდნელად წამოთვა ზეზე და მატარებლის ფანჯარას მოადგა. იმის თვალ წინ ერთი მანდილოსანი გამოჩნდა. თურმე, ნუ იტყვით მატარებელი დაგვიანებულ მანდილოსნის პატივ საცემლად დააბრუნეს, რომ წაეყვანად. აკაკიმ გაიგო საქმე რაში იყო, გაიღიმა და სთქვა: დალოცა ღმერთმა, საქართველოში, ჩვენ ქალებსაც შეძლებიათ მატარებლის უკან დაბრუნება და ზოგიერთ მოხელეების აბუჩად აგდებაო.

III.

სოფ. ჭალაში აკაკი ერთ შეძლებულ აზნ. ოჯახში იყო მიწვეული ტირილში. დ. აზ. ქალი უნდა დაესაფლავებიათ ამ დღისთვის მას დაქირავებული ჰყავდა საკუთრად საჩხერიდან ეტლი. როდესაც მიცვალებული მიაბარეს სამარეს და ხალხი დაიშალა, აკაკიმაც თავისი ეტლი მოიკითხა, მაგრამ იგი აღარ აღმოჩნდა. მოახსენეს, თქვენი ეტლი ერთმა მოხელეთაგანმა წაიყვანაო. შეწუხდა მგოსანი, დაფიქრდა და სახეზე მოიღუშა.

დღეს, როგორც ვხედავ, ჩემთვის „შუამავლობა“ ყოფილა საჭირო, რომ ჩემი დაქირავებული ეტლი სხვამ არ წამართვასო სთქვა მოხუცმა. და იქვე, ახლობელ მგზავრის ურემში ჩაჯდა.

IV.

აკაკი, ნიკო ნიკოლაძის ოჯახში, ქუთაისში ჩვეულებრივად ხშირი სტუმარი იყო ხოლმე. ერთ დღეს, სადილობის დროს, როდესაც სუფრას ბავშვები უსხდენ, ერთმა ბავშმა საჭმელი დაიწუნა. მასპინძელი გაბრაზდა, მაგრამ აკაკის მორიდებით ბავშს ხმა ვერ გასცა. შემოიტანეს მოხარშული ვერმიშელი. მგოსანმა აიღო თავისი ხელით, გადაუდო თეფში და უთხრა: — თუ არ ჭამე ვერმიშელი, — გაგლახვენ, და ვერ გიშველი! ბავშმა გაიცინა და გულიანად შეუდგა სადილს.

V.

აკაკის საჩხერეში ძველათ თურმე რამდენიმე ფარშევანგი ყავდა სახლში. შეუჩდენ მეზობლები და დღე მუდამ მის თხოვნაში მგოსანს მოსვენებას არ აძლევდნენ. რამდენიმე აჩუქა მთხოვნელებს. დარჩა ორი ცალი დედალ-მამალი. შორს სოფლიდან აკაკისთან იმ უკანასკნელის მთხოვნელიც მოვიდა ჯერ, სალამი მისცა და შემდეგ ფარშავანგების ქებაც დაუწყო. მგოსანმა სიტყვის დასრულებაც არ დააცალა და მოუჭრა:

„შენ რომ გინდა მეზობელო,
იგი არის — ფარშევანგი!
კვერცხებზე ზის, — გამოჩეკავს —
აღარა სწამს შენი ჰანგი.

**ილ. ნაჟარაძე.**

# ჩემი სახე.

ვარდზე დავმღერდი, მძორზე ვჩხაოდი;
ხან ყვავი ვიყავ, და ხან ბულბული;
ხან ნაღვლით მქონდა გამოღლენთილი
და ხან კი თაფლით მე სავსე გული.

სულ გაზაფხული სად გაგონილა?
განა იშლება ყოველთვის ვარდი?
ცხოვრებაშიაც ერთს ჩვენ სიხარულს
თან მოსდევს ხოლმე ათასი დარდი.

და მეც იმიტომ უფრო ვჩიოდი!
ათასში ერთხელ თუ მისტვენია!!
მაგრამ იმ დროს კი მსმენელებისთვის
ია და ვარდი დამიფენია!..

გაიქრა ის დრო და მას თან გაჰყვა
გაზაფხულიცა ჩემი ნარ-ნარი.
სიბერემ თავში ჩამიკაკუნა,
დამიდგა ბედკრულს ცივი ზამთარი:

არც გაზაფხული! აღარც ბულბული!
ჩემ თავზე ვჩხავი!.. მცივა და მშია!
მხოლოდ წარსული კი დამრჩენია,
მაგრამ აწმყოში რა ნუგეშია?..

**აკაკი.**

# საქართველოს დიდებავ აკაკი!

ქუთაისის ქართველი ქალები ვუერთდებით ერის გლოვას და მუხლს ვიდრეკთ შენი წმინდა ცხედრის წინაშე.

დიდო მგოსანო! ნახევარ საუკუნის ჯანყით სავსე სივრცეზე შენ აღვიძებდი ქართველი ერის სულს, შენ იწვევდი მასში შემეცნებას, ფურჩქნიდი ერის გულში მთის სუნელოვან ყვავილებათ ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, შენ მოსთქვამდი მის შავბნელ აწმყოს, დასტიროდი მდუღარე ცრემლით

ვით ედემის ბულბული, შენ უგალობდი მას წარსულ ცხოვრების დიდებას; ვით ჯადოსანი, შენ ხსნიდი საიდუმლო ფარდას უცნობ მყობადს, ახედებდი შიგ უსასო ერს და ასრულებდი ციურ ნექტართა ტკბილს იმედებს, რწმენას ბედნიერ და დიდებულ მომავალისა.

სულმნათო! შენ იყავ მოსე ქართველთა... შენ უთითებდი ერს აღთქმის ქვეყნისკენ. შენ გაუძეხ მას ციური ქნარით წელთა სრბოლაში და მიუახლოვე იგი იერიქონის კედლებს... მაგრამ... ვაგლახ!.. გაწყდა ძლიერი სიმი, შეწყდა მგზებარე სიტყვა და აჰა, დიდო მოძღვარო, შენი სულის ნათელი ზვირთი შეეტკბო ერის სულის დიდ ოკეანეს. შენ მოიპოვე სავანე ყვავილოვანი ქართველი ერის გულში.

კურთხეულ იყოს შენი სახელი, დიდო მგოსანო! კურთხეულ იყოს ის ერი, რომელმაც გშობა, მოგცა ციური ალი და სულის ძალა, დაგიწნა დაფნის გვირგვინი და შეამკო შენი სხივმფენი შუბლი უკვდავების შარავანდედით...

ქუთაისის ქართველ ქალთა საზოგადოების ბილობით ფედოსა ქუთაისისა.

**ელენე წერეთლის ასული.**

**ნინა წერეთლისა.**

ქუთაისი, 4 თებერვალი 1915 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთის არწივი

(ვუძღვნი ვაჟას).

ზამთარია, ჰყინავს მთა ბარს
და ცახცახებს არე მარე,
თეთრი ჩადრი დახურვია,
ტიტველ მინდორს, ვით სამარე.

ცრემლებსა ღვრის ხის ტოტები,
თვით სალი კლდეც განაბულა
და ბუნების სიმთა ჟღერა,
თითქოს უფსკრულს ჩამალულა.

მთის არწივი მთის მწვერვალზე
ფრთა გაშლილი ლაღათ დაფრენს
და მის ფრთებით ნამსხვრევ სითო
შავ ღრუბლებსა მიმოაფენს.

მას ზამთარი ვერ შეაკრთობს,
ზამთრის სუსხი ვერას ავნებს,
როცა იგი ცეცხლის თვალებს
მთის წვერვალზე მიმოავლებს,

ოღონდ ფრთებსა მთის არწივი
ცის ტატნობზე ატყორცნიდეს,
ღამით მთვარის სხივთა გროვა
და დღისით კი მზე ჰკოცნიდეს.

**სოსო გარდაძე.**

პირი შეიმურა,

და ტიკჭორა წამოკიდებულმა თამამად გაიარა ჰიშკარი. დარაჯებმა რომ კითხეს, — მეფის მოსამსახურე ვარ და მტკვარზე წყლის მოსატანათ მივდივარო, — უპასუხა.

მეფეს ქალაქს გარეთ 30 ცხენოსანი მოეგება და ახ ლციხისკენ გაუდგენ გზას.

ახალციხიდან მეფემ იმერეთში წერილები გაგზავნა: აბა დამიმტკიცეთ ერთგულობა, თვარა თქვენც ის დღე დაგადგებათ, რაც ქართლელებს,

მეფემ ხალხის თვალში მეტი პატივი და სიყვარული მოიპოვა; სიმონოვიჩს კი,

ალმაცერათ დაუწყეს ყურება. მეფის წერილებმა იმერეთში დიდი გავლენა იქონია, ხალხი დაირაზმა

დიდი სისხლის ღვრა მოხდა ალის ხეობაში, სადაც ოთხი დღის განმავლობაში განუწყვეტელი სროლა იყო—

ალის ხეობაში მაშველმა ჯარმა გადასწყვიტა ბრძოლის ბედი: მეფე და მისი მომხრენი დამარცხდენ.

სოლომონი იმერეთიდან ახალციხეს გაიქცა, აქიდან აზრუმს გადავიდა, სადაც მას სულთანმა ბინა დაუნიშნა. აზრუმის ფაშამ,

მეტის მეტად შეავიწროვა ტანჯული გვირგვინოსანი და ის აქიდან 1812 წ., ღამით, ტრაპიზონს განივლტო.

ტრაპიზონში მეფე ღირსეულათ მიიღეს. აზრუმის ფაშას კი მეფის შეწუხებისათვის, სულთანის ბრძანებით, თავი მოკვეთეს.

სამშობლოდან გადახვეწილი მეფე ტრაპიზონში გარდაიცვალა 7 თებერვალს 1815 წ. შობიდან 42 წლისა.

მეფის ცხედარი დაკრძალეს იმავე ქალაქში ბერძენთა ეკლესიის გალავანში და ზედ კამარა-შეკრული ძეგლი აუგეს. მეფეს ტრაპინზონში თან ახლდა მოძღვარი თვისი, მღვდ. იესე ყანჩაველი, რომელმაც მეფის საფლავის ლოდს შემდეგი წააწერა:

„განმეძარცვა მე პირველ-ქმნილი მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამასშინა, ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონი“.

**დონ.**

# ახალი ამბავი.

დღეს 8 მარტს, საკათედრო ტაძარში ჩვენის რედაქციისა და დამკრძალავ კომიტეტის თაოსნობით გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დიდებული მგოსნის, აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 1 საათზე.

✦ დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, საღამოს 7 საათზე, შესდგება ქალთა საზოგადოების წევრთა კრება. იმსჯელებენ აკაკის ფონდისა და ძეგლის დადგმის შესახებ.

✦ 7 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა სანოვაგის მომწყობი კომიტეტისა და სამეურნეო კომისიის შეერთებული კრება. ამ კრებაზე მსჯელობა ჰქონდათ სანოვაგის შემოტანისა და ვაგონების განაწილების შესახებ.

✦ დღეს ქუთაისში გამოვა პირველი ნუმერი „სასოფლო გაზეთი“-სა.

✦ **საქველმოქმედო საღამო ქუთ. სავაჟო გიმნაზიაში.** ჩვეულებრივი საღამო, რომელიც სავაჟო გიმნაზიაში ყოველ წლობით იმართება, წელს ასეთი საღამო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების სახსრის გასადიდებლათ გაიმართება 23 მარტს, რადგანაც 26 მარტიდან უკვე იწყება სიმწიფის მოწმობის გამოცდები. საღამოს წმინდა შემოსავლის 10 პროც. გადაიდება ომის საჭიროებისათვის.

მოვუწოდებთ საზოგადოებას დაეხმაროს ამ ფრიად სიმპატიურსა და კარგ საქმეს და შეიტანონ თავის წვლილი ღარიბ მოწაფეთა დახმარების საქმეში.

✦ დღეს, 8 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დილის ათ საათზე შესდგება ხელოსანთა საკრებულო ბანკის წევრთა წლიური კრება. გასარჩევათ დანიშნულია გასული, 1914 წლისა და მდგომარე წლის ანგარიშები.

✦ სანოვაგის მომწყობმა კომისიამ პურის ფქვილზე შემდეგი ფასი დაადგინა: როსტოვის მეოთხე ხარისხის ფქვილზე 12 მან. და 5 შ. მეხუთეზე—12 მ. მეექვსეზე 11 მ. და 10 შ. მეშვიდეზე—10 მან. და 5 შაური. ეკატერინედარის პურისფქვილზე ფასი ხუთი შაურით ნაკლები დაადგინეს. შაქარზე, გირვანქა—18 კაპ. მარილზე ფუთი 85 კაპ და სხვა.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება შესდგება ხვალ, 9 მარტს.

✦ გუშინ ქართლიდან დაბრუნდა ჩვენი გაზეთის რედაქტორი ბ. ია-ეკალაძე —ცინცაძე. ქართლში მან რამდენიმე დღე დაჰყო.

✦ 4 მარტს, ღამით, ბალახვანის ქუჩაზე, ვიღაც ბოროტგამზრახველებმა კეტით სცემეს ალ. შენგელიას. შენგელია ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მალე გარდაიცვალა.

## თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში ქარ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქუთაისის სცენზე, ივანე გომართელის ახალი ორიგინალური პიესა „იასონის თინები“, ორ მოქმედებიანი კომედია ჩვენის ცხოვრებიდან. კონ. ანდრონის ორიგინალური პიესა „სიზმარი კოშკში“ და მხიარული ვოდევილი—შარჟი „სიმართლე“, მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და ახლად ჩამოსული გ. არადელი—იმზნელი.

— კონ. ანდრონმა უკვე დაასრულა თარგმნა სობოლჩიკოვ-სამარინის ცნობილი პიესა „Великій грѣшникъ“—ქარ. „იუდა ისკარიოტელი“.

## სია

**იმ დაჭრილ და ავათმყოფ ქართველ ჯარის კაცთა, რომელნიც ქ. მოსკოვის საავადმყოფოში იმყოფებიან.**

Лаз. „бирж. общ.“ Новосселенская:

1. ბეთლეულიძე ალექსანდრე (ტფ. გუბ. სოფ. კვეშელი.) Б. Полянка д. 44 пал. 7.:

2. მაჭარაშვილი ნიკ. ერმალოზის ძე (ღ. სახხერიდან, ავათ არის) Лаз. Ламина М. Ординка д. № 5:

3. შარაშენიძე იეზეკილ ტარიელის ძე (ქ. ქუთაისიდან). Волконка д. Котова № 5 кв. 101:

4. გამრეკლიძე კონსტანტინე (ავათ არის). ქუთაის. Красноселская у. № 65:

5. ცოცქიშვილი (ბესია) ილარიონ (შორაპნის მაზრა). Покр. казар. Лаз. офиц. общ. 7 грен. самог. п.:

6. შვილდაძე ნოე დალმატის ძე (სოფ. ოზჩა).

7. გელვანიძე სევ. მაქსიმეს ძე (სოფ. საზანო).

7. ყაზანაშვილი სტეფ. ივანეს ძე (სოფ. ბაკურ. გორ. მ.)

9. ბზირაკაშვილი ილია დავითის ძე (ს. ნანიენი). Лаз. при Марѳо-Марин. общинѣ. м. орд. 31:

10. კეველიშვილი სერგი ეგორისძე ს. ნანიენი). 7-ая гор. больница пал. 64:

11. დოლაბერიძე კირილე თომას ძე (სოფ მაღლაკი). Лаз. имени Варв. Лепешкиной пят. ул.

12. მიქავა ერმალოზ კუტუს ძე (სოფ დიდი-ნეძი). Лаз. гор. управы при фабрикѣ „Марков-Ивановъ“:

13. ქეელიაშვილი სოსია ლუარსაბის ძე სოფ. გულგული. Гор. лаз. Б. Полянка д. 44 пол. 8.:

14. ვოდაკარია ნიკ. ძარმონის ძე (ს. უფლისური). Лаз. „Шлабера“ Садовники.:

15 არზუმაშვილი სტეფ. ეგორის ძე (სოფ. მუხრანი ტფ. გუბ.)

16. დიხაიშვილი სამს. მიხეილის ძე (სოფ. მუხრანი).

17. მონესაშვილი ნიკ. იოსების ძე (ქ. ტფილისიდან). Міюскій госпиталь имп. Ал. II-го.

18. ორაგველიძე ბენიამინი (ღ. ლანჩხუთიდან) 19. სარდია პლატონ (სოფ. ჩუხართი). (ორივე ტყვით არიან ავათ).

**მეორე ოსმალეთის საზ. გაგზავნილები:**

29. გვაზავა ილარიონ (სენაკ. მაზრა).
21. კოჩიევი ვლადიმერ (გორის მაზ.)
22. ცხადიძე ვლადიმერ (შორაპ. მაზ.)
23. მაისურაძე გიორგი (გორის მაზ.)

**გამოსამთელებელ რაზმში:**

24. ლორთქიფანიძე პროკოფი (ქ. ქუთ.)
25. მდივანი არჩილ (სოფ. ოფურჩხეთიდან) ქუთ. გუბერნია.

P. S. ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ძმ. რუხაძეებს, დავით გაიოზის ძეს მაღრაძეს და „ახალი აზრის“ რედაქციას, რომლებიც გვიგზავნიან ქართულ გაზეთებს დაჭრილთათვის.

საჭიროდ ვრაცხთ ვაუწყოთ საზოგადოებას შემდეგი: წერილები იმ დაჭრილთა შესახებ, რომელნიც ჩვენგან მოწოდებულ სიაში არიან, უნდა გაიგზავნოს იმ ლაზარეთში, რომელშიც დაჭრილი წევს, კერძოთ ჩვენ უმარკო წერილებს არ მივიღებთ. დაწვრილებითი ამბების გაგება, წიგნაკებისა და გაზეთის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Влад.-Долгоруковская, д. 7. кв. 118. студ. Моск. коммерч. института Георгію К. Масхарашвили. მოსკ. კომერც. ინსტ. არსებული ქართული სათვისტომოს „მფრინავი რაზმი“ ს მონდობილებით: გ. კ. მასხარაშვილი.

## აკაკი გამაერთიანებელი.

სიტყვა, თქმული აკაკის კუბოსთან იოსებ იმედაშვილის მიერ დ. საჩხერეში, 4 თებერვალს, 1915 წელს.

„მოგესალმები, მგოსანო,
მომაქვს სალამი გვიანი,
შენსამც სამარეს შემოსვენ
ვარდნი, იანი, ღვიანი!..“

დიახ, ვარდნი, იანი, ღვიანი შენის სამშობლოისა...

ძმანო, „ვინ შეამკოს ღირსეულად“ ჩვენი სულის მესაიდუმლე? განა მზის გავლენას ყველა ერთნაირად არ განიცდის? განა ბრმაც კი არა გრძნობს მზის სხივთა მოქმედებას?

და ამიტომაც არის, რომ დღეს საქართველოს მზის ხოტბაში ყველა ერთ აზრს გამოსთქვამს და მე, სიტყვა-მწირი, რას შევძლებ?

მაგრამ გარე-კახელ გლეხთა მოთქმა—მწარე კვნესა—და ჟურნალ „თეატრი და ცხოვ.“ რედაქცია მავალებს, მოძმენო, თქვენს წინაშე დაბლად მუხლი მოვუყარო მისი ცხედარს, რომელმაც ესე აამაღლა და გაათვითცნობიერა სამშობლო ჩვენი, მთელი ჩვენი ქვეყანა.

მე მინახავს ნგრეულ ტაძარზე აღმოცენებული ხე-მცენარე... ნაყოფი მისი წვრილია, თხელკანა, მაგარ ნაჭუჭა, ხოლო საჭმელად თაფლისებური. შორით მაყურებელს ჰგონია, ხე იგი ტინზეა აღმოცენებულიო, მაგრამ, ოდეს დაუკვირდება, დარწმუნდება, რომ ამა ხეს ფესვები ძირს, მიწაში აქვს ჩასული და მითი საზრდოობს. ძველად წმინდა მამანი ამა ხისას ჯვრებს აკეთებდნენ, წმინდათა ხატებს აქანდაკებდნენ უკეთურებისაგან დასახსნელად.

სახელი ამა ხისა—აკაკი.

ასეა ბუნებაში, ასევეა ჩვენს ცხოვრებაში, ადამიანთა შორის...

ჩვენის სამშობლოს ნანგრევებზე აღმოცენდა ჩვენი სიამაყე, ერის სულის მეფე **აკაკი**... პირველის შეხედვით, თითქოს, იგი ზერელე იყო, ვითარცა მაღალი წრეს შვილი, მაგრამ მან ფესვები მალე ღრმად გაიდგა ძირს, ხალხში და მით უკვდავი შეიქნა...

აკვნესდა ხალხის სევდით, ამეტყველდა ხალხის ენით, განიმსჭვალა ერის მწუხარებით და ის, რაც ზოგიერთ ჩვენთა მეფეთა მეცადინეობამ ვერ შესძლო—სამ სამეფოდ და შვიდ სამთავროდ დანაწილებულ საქართველოს გაერთიანება, სრულიად საქართველოს მთლიანობის შექმნა,—შესძლო აკაკიმ...

ძმანო, კარგად გახსოვთ ამ ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში რა დაქსაქსულნი ვიყავით. ერთს მეორისა აღარ გვესმოდა, და აწ ხომ ხედავთ?.. მართალი უთქვამთ, რომ დიდებული კაცნი თავის სიკვდილით დიდებულ საქმეს აკეთებენო: და, აჰა, ჩვენ, სხვა და სხვა ჯგუფის, რწმენის, მიმართულებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ირგვლივ შემოვიკრიბენით ..

აკაკიმ გაგვაერთიანა, აკაკი ყველასია, აკაკი მთელი სულიერი საქართველოა...

ამიტომ ნუ გვიწყენთ, ძმანო საჩხერელნო, თუ აკაკის არა ნაკლებ ჰგლოვობს ქართლ-კახეთი, და მაგის ცხოველ-ყოფელ ნეშტს იქ მივაბარებთ მიწას, სადაც განისვენებენ ჩვენი ეროვნების მთლიანობის მოციქულნი...

აკაკი ხომ ერთობის მოციქული იყო, მას ხომ ერთი საქართველო სწამდა—აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო გაერთიანებული—და ამიტომაც საქართველოს ერთობის გულში, საქართველოს დედა ქალაქში უნდა მოასვენოს თვისნი ძვალნი...

მას ხომ მხოლოდ ერთობა სწამდა:

—„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო!..“

იგი ხომ მხოლოდ ერთს გვასწავლიდა:

—„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვა და სხვა კუთხის შვილები...“

და ჩვენც უმთავრესად ამ ჩვენი ერთობის განმტკიცებას უნდა ვემსახუროთ, რომ ღირსეულად აღსრულდეს მგოსნის მუდმივი ნატვრა...

მრწამს, დადგება დრო, როდესაც ყოველი ქართველი, ძველ წმიდა მამათა მსგავსად, რომელნიც აკაკის ხის ჯვრებს აქანდაკებდნენ გულზე სატარებლად, ისე ყოველი ქართველი აკაკის ნაწარმოებთა მარგალიტებს გულზე კი არა—გულში ჩაიმუქებს, რომ „საქართველო აღსდგეს მკვდრეთით!“ და მით შვება მიენიჭოს მგოსნის მუდამ მშფოთვარე სულსა!..

**იოსებ იმედაშვილი.**

## სიტყვა

თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მეუნარგიის ასულის მიერ.

„არა! აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა.
გმირებს დაეძებს, უყივის—
ჩემი დაფი და ნაღარა..!“

ასე გაიძახოდა მუდამ მხცოვანი მგოსანი,—ის მუდამ ჟამს ამუსიკებდა თავის ენას და თავის დაფითა და ნაღარით. უყივოდა გმირებს, დაეძებდა, იკრებდა თავის გარშემო და აღმაფრენით ჩასძახოდა:

„დასთესეთ თესლი კეთილი
შესარგო მამულისაო
და ნახავთ ნამგლის ტრიალსა
„ჰოპუნით მომკელისაო“...

და აჰა! ჩაჰქრა იმედები, ჩაჰქრა კანდელი, ჩაჰქრა ამუსიკებული ენა—აკაკის უმტყუნა ჭაღარამ და ჩვენი სამშობლოს საუკეთესო დარაჯი, ჩვენი ერის საუკეთესო ქურუმი ხელიდან გამოგვეცალა. დიახ! დაიწვა ხატის წინ ანთებული წმიდა სანთელი, აკაკი წარგვიტაცა შეუბრალებელმა სიკვდილმა და მასთან ერთად წარიტაცა ჩვენი აღმაფრენა, საუკეთესო ზრახვანი და გულის თქმანი...

დღეს სტირის მთელი ქართველობა, დღეს მოსთქვამს ის, ვისაც გული ოდნავ მაინც ძგერს თავის სამშობლოსადმი სიყვარულით, ვინაიდან აკაკისთან ერთად ჩაესვენა წრფელი, ნაზი, ნარნარი, წმიდა გრძნობა სამშობლო ერისადმი სიყვარულისა. დღეს ტირის და მოთქვამს ბნელ კუნჭულში მიმალული, ბნელ სარდაფში თავჩაქინდრული მუშა, რადგან აკაკისთან ერთად ჩაესვენა გრძნობა ღარიბ-ღატაკთა სიბრალულისა: დღეს ტირის გულამღვრეული, უშინაარსოთა ბრბო, რადგან აკაკისთან ერთად დღეს მიწას მიაბარებს მათ მუდმივ დამრიგებელს, მათ მხილებელ—ადამიანს; დღეს ტირის და მოთქვამს ახალგაზრდობა. რადგან მათ დაკარგეს საუკეთესო მასწავლებელი, საუკეთესო მამა-აღმზრდელი-მგოსანი. ერთი სიტყვით, დღეს ვალალებს ყველა და ამ სივალალეს ბანს აძლევს: ხე, თუ ბუჩქი, მთა, თუ ველი, ტყე, თუ მინდორი—ყველა ერთგვარ გულის თქმას მოუცავს.

რამ გამოიწვია ასეთი სივალალე? ვინ იყო აკაკი, რა იყო, რას ემსახურებოდა, რა აზრები ასაზრდოებდა მას? ამ კითხვაზე ძლიერ ადვილათ მოგიგებენ—არა მარტო უზენაესის ნიჭით დაჯილდოვებულნი, არა მარტო ის, ვინც მსოფლიოში ყველაზე მაღლა დგას—ამას მოგითხრობს და გეტყვის უბრალო, ღონე-მიხდილი მთხოვარაც-კი. კითხეთ ბავშს, კითხეთ მოხუცს, ახალგაზრდას, ყველა ერთნაირ პასუხს მოგცემთ, ვინაიდან ისინი ყველა ერთნაირის მოწიწებითი გრძნობით არიან გამსჭვალული აკაკისადმი. აკაკი ხომ ლამპარი იყო, წმიდა ლამპარი, რომელიც ერთნაირათ გზას უნათებდა ყველა მათ, ვინც სიბნელეში დახშულან? აკაკი ხომ ფარვანა იყო, რომელიც თავს დაფარფატებდა ყვავილებს და არ ზოგავდა ღვთისგან ბოძებულს არც ნიჭს, არც ძალას, არც ღონეს, რომ ხალხი საერთო ჭირვარამისგან ეხსნა?

მას ხომ ცრემლში ულევსავს ნაღველი და, მელნად ის უხმარია, რომ უფრო მკაფიოდ, უფრო მჭრელად ემოქმედებინა მის სიტყვებს უშინაარსოთა ბრბოზე?

მარა ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, მის მოღვაწეობას გვირგვინს ადგამს, მის პიროვნებას უკვდავების სამოსელს აცმევს ერთი რამ საგანი; ეს საგანი **სამშობლოა**, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში განიცდის ტანჯვას სხვის მიერ და რომლის გული წარუშლელი იარით არის დაღდაგული. თავის სატრფო სამშობლოს ის ყოველთვის არიგებდა ხოლმე:

„ქინქარში ნუ ვარდები
ნუ გგონია მანდ იაო“

და როდესაც სატრფო ამ დარიგებას არ მიიღებდა ხოლმე, ის სრულ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ის იყო ტარიელი, რომელიც თავს იწირავს თავის სამშობლო ნესტანის დახსნისათვის, ტარიელი, რომელიც გარბოდა მინდორ-მინდორ, ეძებდა მეგობრებს, რომელთ ხელი უნდა გაეწოდა და შეერთებულის ძალით ნესტანი ქაჯთა ტყვეობისაგან ეხსნა...

ის სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, როდესაც გადახედავდა მის სამშობლოს დაობლებულს, მიყრუებულ ტყე-ველს და სასოწარკვეთილივე მიუბრუნდებოდა ქართველ კაცს და ეუბნებოდა:

„აბა, მითხარ, ვინა ხარ?
უცხო კაცათ არ ვარგხარ,
აღარცა შინა ხარ
ორთა შუა აგდიხარ,
სანაგველოს დარი ხარ“.

მარა აჰა! გადახედავდა რა ის თავის წინაპართა ნამოქმედარს, გადახედავდა რა იმ ციხე-კოშკებს, რომელნიც ჩვენ წინაპართ აღუგიათ მტრისგან დასაცავათ, გადახედავდა ცათ-აღმართულ იალბუზის, ყინვარის კავკასიონის ქედებს და იმედით, იმ იმედით, რომელიც მუდამ ჟამს მისი განუყრელი თანამგზავრი იყო, წარმოსთქვამდა ხოლმე:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებსო“...

და, სწორეთ ასეთ მოიმედის დაკარგვაზე მოთქვამს დღეს მთელი ქართველობა და ამ მოთქმას უერთდება

ქართველი დედები, რადგან ისინი დღეს მიწას აბარებენ თავიანთ მხნე დარაჯს, მათთვის თავდადებულ, დაუღალავ მუშაკს, ჭირისუფალს, რომელიც თავს დასტიროდა მათ მწარე ხვედრს, მათ დაცემას, და მუდამ სახეში უყენებდა ძველ დედებს, რომ ახლებს მათ კვალზე ევლოთ... მან იცოდა, რომ იქ, ნინო, თამარ და ქეთევან სამარადისოდ ქებულან“ და „აღუზრდიათ გმირები სამშობლოს მსხვერპლად და ზვარაკად“ ის გუნდრუკს უკმევდა ამ დედებს, მარა წუხდა, რომ „იმათ სხვებზე დღეს ქართველი ქალი თვალს ვეღარ ახელს“, წუხდა, რომ მათ სამშობლო უკვე დავიწყებიათ და აღარ უზრდიან მას გმირებს. .

ნაზი, ნარნარი, ღვთაებრივი დედა აკაკისგან გაპიროვნებული, თავის შვილს გასაზრდელათ სხვას კი არ მიაბარებს, არამედ თვითონ მიუჯდება აკვანს და ნაზადვე დამღერის:

„ანუგეშე, სადაც ნახო მოძმე მწუხარეო,
შვილო! მამულის გულისთვის
სისხლიც დაღვარეო,
ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტრები
აშინაო,
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო“...

და დღეს, დარწმუნებული იყავით, რომ დაჩაგრული დღევანდელი პირობებისგან ქართველი ქალი ეცდება არ დაკარგოს აკაკის ნაანდერძევი, დარიგებანი... ამიერიდან ქართველი დედა ეცდება მიზნათ და იდეალათ დაისახოს: „ნინო, ქეთევან და თვით თამარი“ და მაშინ, უთუოდ, შემოფრინდება მერცხალი და აკაკის საფლავს ჭიკჭიკით გადასძახებს: „გაზაფხული, გაზაფხული“... და მაშინ გაზაფხულის იმედიც ხომ გულს ჩაგვესახება!!.

მანამდის-კი, ვევედრებით ღმერთს მშვიდათ განუსვენოს „წმიდათა წიაღში მამათ კრებულში“ მას, რომელმაც „ოფლით მორეცხა წმიდათა სისხლით ღებული სამშობლო“, რომ პირნათლად შეჰყროდა იმ ჩვენ ქებულ წინაპრებს.

## სიტყვა,

(თქმული სვერის ოლქის ბლაღოჩინის იოსებ წერეთლისაგან აკაკის საჩხერიდან გამოსვენების დროს).

საქართველოს დიდება და სასიქადულო, სულმნათო ადამიანო აკაკი!

შენი ღვაწლი და ამაგი, შენი უკვდავი ლიტერატურული ქმნილებანი და დაუღალავი, შეუპოვარი მოღვაწეობა ეკლით ფენილ საზოგადო სარბიელზე—ჩვენმა პრესამ უკვე აღნიშნა. შენს რუსთაველისებურს, მთის ნაკადულივით მოჩუხჩუხე, ჩანჩქერივით მჩქეფარე, ბულბულის გალობისაებრ ხმა-ტკბილ ცელქ-ცქრიალა ლექსებს ქებითი ქება უკვე მიუძღვნეს. შენ რომ ქართველთა ეროვნულ შეგნებას საძირკველი ჩაუყარე, ხალხს თავისუფლება შეაყვარე და თითოეულ ჩვენგანის გულში ჩაგრულისადმი სიყვარული ჩანერგე, ესეც ხომ აღნიშნულია. ვიცით, რომ შენი პოეზიის საგანი შენი მიწაწყალ-ტანჯული სამშობლო იყო. „თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი და გულსა მწვავს მწუხარების მე ალიო“, ამბობ შენ ადმოკვნესით.

დიახ! შენ მხოლოდ სამშობლოს უგალობდი და უმღერდი, თავ ლეჩაქ ახდილს და ფეხშიშველს და მუდამ მის მხნელ ტარიელს ეძებდი და შენი ანდერძი—სამშობლოსთვის თავდადებასა და საზოგადო საქმისათვის თავგანწირულ მუშაობასა და მოქმედებას გვავალებს.

მაგრამ მე ამას, აი რა უნდა დავუმატო კიდევ: ის სულიერი შემოქმედებითი ნიჭი და ძალა, რომელიც შენ უხვად გქონდა მიმადლებული, მოგანიჭა ამ მშვენიერმა პატარა კუთხემ, ამ არე მარემ, რომელსაც პატარა კახეთს უწოდებენ. შენს თავგადასავალში აღიარე, ბედნიერი მხოლოდ ბავშობის დროს ვიყავიო. მაშ შენი სიცოცხლის უბედნიერესი დრო გატარებია აი ამ სავანეში, რომელმაც ძუძუ გაწოვა, სხვიტორში, რომელმაც ბუნების წარმტაცი მშვენიერება შეგაყვარა, და მთლად ამ პატარა საჩხერეთლოში, რომელიც ისე გიყვარდა, რომ შემდეგ, როდესაც კი ნამუშევარს, დაღლილს, დაქანცულს სულის დამშვიდება მოგსურდებოდა, აქ მოაშურებდი, აქ შეიკრებდი ძალას და განიკურნებოდი ხოლმე.

დიახ! ეს არე მარე რომ გიყვარდა, იმიტომ ინახულე ახლაც სიკვდილის ჟამის წინაც და საუკუნოდ იქ განისვენე, სადაც სიცოცხლის დროსაც მოიპოვებდი ხოლმე მოსვენებას.

ამ კუთხემ გშობა და გაწოვა ძუძუ და ამ კუთხემვე განგისვენა საუკუნოდ, რადგან, როგორც შენ ის გიყვარდა, მასაც ისე უყვარდი.

დღეს კი შენი დაობლებული დასასვენებელი წალკოტი თვალ-ცრემლიანი საუკუნოთ გეთხოვება. სწუხს, რომ შენი ნეშტი ვერ მიიბარა, ვერ ჩაიხუტა გულში და აი ეს მოზღვავებული ხალხი უზომო მწუხარებას შეუპყრია, თავს დაგტირის და გგლოვობს თავის საყვარელ მგოსანსა და დიდებულ მამულიშვილს, მაგრამ, ნუგეშად ის დაგვრჩენია, რომ ჩვენი აკაკი მთელი ერის სადიდებელი შეიქნა და მისი განსასვენებელი ადგილი, საქართველოს გული, იმავე დროს ჩვენი პატარა კუთხის გულიც არის.

და სამშობლოს არ უარუყვია სურვილი დიდებული მგოსნისა, რომელმაც დაიბარა:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო.
დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა ცირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“!

სამშობლოც ასრულებს შენს ნებას: შენს წმინდა ნეშტს მთაწმინდა მიიბარებს, ის წმიდა ადგილი, რომელიც ასე გიყვარდა, საქართველოს მეორე დიდი მოამაგის—სულმნათის ილიას გვერდით.

მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და ერთად ჩემი საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებისა მხურვალეთ შევსთხოვ უზენაესს, რომ კვალად მოვლენოდეს ჩვენს, შენგნით დაობლებულ ქვეყანას, შენებრ სახელოვანი მამულიშვილი.

საუკუნოდ ხსენება შენს დიდებულს სახელს, დიდებულო მგოსანო!

ბლაღოჩინი იოსებ წერეთელი.


**ქალაქის თეატრი**

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ კვირას, 8 მარტს,

წარმოდგ. იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა **ივ. გომართელისა.**

1 **იასონის თინები**

კომედ. 1 მოქმედ.

2. **სიზმარი კოშკში**

ორიგინალური ერთ სურათათ კონსტანტ. ანდრონისა.

3. **სიმართლე**

ერთ მოქმედ. თარგმანი მ. ქორელისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

**ანონსი**: ოიდიპოს მეფე, იუდა ისკარიოტელი, ჰამლეტი, ყაჩაღები (ახალი ვარიანტი), დაძირული ზარი.

2—1.


[illegible] სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. კოხრეიძისა—ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.